ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 27 თებერვლის სხდომის

ოქმი #2

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2025 წლის 27 თებერვალს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 37 წევრი, სხდომას ესწრებოდა 24 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდნენ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ. ტრაპაიძე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თ. ჭელიძე და სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ასოცირებული პროფესორი გ. ბრეგვაძე.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილების ცნობა;
2. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევა;
3. აკადემიური პერსონალის ბ კატეგორიის დატვირთვის შესახებ;
4. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში შესატანი ცვლილების შესახებ;
5. ცვლილება ფაკულტეტის დებულებაში;
6. პროგრამული ცვლილებების შესახებ;
7. ეკოლოგიის პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის შესახებ;
8. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილების ცნობის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ წარმოადგინა ფაკულტეტის ახლადარჩეული საბჭოს წევრთა სია. სტუდენტთა შემადგენლობა საბჭოში იგივე დარჩა, მხოლოდ აკადემიური პერსონალიდან მოხდა ფაკულტეტის საბჭოს წევრთა შემადგენლობის განახლება. შემდეგ ბატონმა პეტრემ მიულოცა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს არჩევა და შესთავაზა მათ ფაკულტეტის საბჭოს ახლადარჩეული შემადგენლობის უფლებამოსილების ცნობა (იხ. დანართები 1 - საბჭოს წევრთა სია და საარჩევნო კომისიების ოქმები).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ფაკულტეტის საბჭოს ახლადარჩეული შემადგენლობის უფლებამოსილების ცნობის საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოს ახლადარჩეული შემადგენლობა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ ფაკულტეტის საბჭოს მდივნის პოსტზე წარმოადგინა ასოცირებული პროფესორის თინათინ დავითაშვილის კანდიდატურა. მან დაახასიათა ქალბატონი თინათინი და მადლობა გადაუხადა წინა მოწვევის საბჭოში მის მიერ გაწეული საქმიანობისათვის, რასაც საბჭოს წევრებიც ერთხმად დაეთანხმნენ. საბჭოს თავმჯდომარემ შესთავაზა საბჭოს წევრებს მოსაზრებების გამოთქმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ასოცირებული პროფესორის თინათინ დავითაშვილის ფაკულტეტის საბჭოს მდივნად არჩევის საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის საბჭოს მდივნის პოსტზე ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი.

3. მოისმინეს: ინფორმაცია დღის წესრიგის მესამე საკითხის - აკადემიური პერსონალის ბ კატეგორიის დატვირთვის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პ. ბაბილუამ. ბატონმა პეტრემ გააკეთა მოკლე განმარტება აკადემიური პერსონალისთვის სავალდებულო მინიმალურ სამეცნიერო სტანდარტსა და მის ზემოთ გამოქვეყნებული მაღალრეიტინგული სამეცნიერო პროდუქციისათვის ფაკულტეტზე და უნივერსიტეტში არსებული წახალისების მექანიზმების შესახებ. შემდეგ მან სიტყვა გადასცა ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, ასოცირებულ პროფესორ ვაჟა ტრაპაიძეს, რომელმაც ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის ბ კატეგორიის დატვირთვის სქემაში შესატანი ცვლილებები.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ. შათაშვილმა, მ. ცინცაძემ. ქალბატონი მაგდა დაინტერესდა, ჩაითვლება თუ არა დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობაში ერასმუსის პროგრამით ჩვენს უნივერსიტეტში ჩამოსული უცხოელი დოქტორანტის მოკლევადიანი (1 თვე) ხელმძღვანელობა. განმარტება გააკეთა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ და აღნიშნა, რომ ეს სამუშაო ვერ ჩაითვლება იმ კატეგორიაში, რასაც სქემა გულისხმობს დოქტორანტის ხელმძღვანელობაში, თუმცა შეიძლება ჩაითვალოს სერვისების სხვა კატეგორიაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის ბ კატეგორიის დატვირთვის სქემაში ცვლილების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილება პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის ბ კატეგორიის დატვირთვის სქემაში დანართის შესაბამისად (იხ. დანართი 2):

1. ბ კატეგორიის პროფესორისათვის კვირაში სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა განისაზღვროს 4 საათით, ხოლო ბ კატეგორიის ასოცირებული პროფესორისთვის - 6 საათით.
   სავალდებულო სასწავლო პედაგოგიური დატვირთვა ბ კატეგორიის აკადემიური პერსონალის - პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისათვის - დამატებით მოიცავს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობას (კვირაში 2 საათის შესაბამისი კოეფიციენტით). იმ შემთხვევაში, თუ პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი

არ ხელმძღვანელობს დოქტორანტ(ებ)ს, დამატებითი დატვირთვის შესრულება შეუძლია განცხადების ფორმაზე დართული დანართი 3-ის ალტერნატიული აქტივობებით (სერვისით) ან შემდეგი აქტივობებით: ლექცია; სემინარი; პრაქტიკული მეცადინეობა; სამუშაო ჯგუფი; ლაბორატორიული მეცადინეობა; სასწავლო /საველე /პროფესიული პრაქტიკა.

2. დამტკიცდეს ბ კატეგორიის პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის განცხადების ფორმა.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2025 წლის შემოდგომის სემესტრიდან.

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში შესატანი ცვლილებები. საკითხის შესახებ გამოვიდა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვაჟა ტრაპაიძე. ბატონმა ვაჟამ ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სადისერტაციო საბჭოს დებულებაში შესატანი ცვლილებები (იხ. დანართი 3). მან ასევე ისაუბრა სადისერტაციო ნაშრომის დაცვისა და სააპელაციო კომისიების შემადგენლობის შერჩევის წესზე.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ე. ნადარაიამ, ნ. შათაშვილმა, ნ. კოშორიძემ, ლ. მაჭავარიანმა, ნ. დორეულმა, დ. ძიძიგურმა, მ. ცინცაძემ, რ. გახოკიძემ. ქალბატონმა დ. ძიძიგურმა კიდევ ერთხელ ისაუბრა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შესახებ და აღნიშნა, რომ მისი არსებული უფლებამოსილებით ფუნქციონირება ეწინააღმდეგება კანონს უმაღლესი განათლების შესახებ. კარგი იქნება, თუ ამას მიექცევა ყურადღება. წამოჭრილი საკითხების ირგვლივ განმარტებები გააკეთეს ფაკულტეტის დეკანმა პ. ბაბილუამ და დეკანის მოადგილემ ვ. ტრაპაიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში შესატანი ცვლილებების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ა) საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში შესატანი ცვლილებები დასამტკიცებლად წარედგინოს თსუ აკადემიურ საბჭოს (იხ. დანართი 3).
ბ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვისა და სააპელაციო კომისიების შემადგენლობა შეირჩევა ფაკულტეტზე მოქმედი შესაბამისი მუდმივმოქმედი სადისერტაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე და დასამტკიცებლად ეგზავნება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს.

5. მოისმინეს: დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - ცვლილება ფაკულტეტის დებულებაში. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პ. ბაბილუამ. მან საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის დებულების მუხლი 18, პუნქტი 6-ში შესატანი ცვლილებები.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა დ. ძიძგურმა, რ. გახოკიძემ, გ. სირბილაძემ. ბატონმა გიამ აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ არჩევით პოზიციებზე გათვალისწინებული იქნება როტაციის პრინციპი. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პ. ბაბილუამ აღნიშნა, რომ ეს არ უშლის როტაციის პრინციპს, ვინაიდან სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევა საბჭოს უფლებამოსილებაა და სხვა ვერავინ ჩაერევა. მეორე მხრივ, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის თანამდებობები არაანაზღაურებადია და ადმინისტრირების კუთხით რთულია ამ

პოზიციებზე შესაბამისი კანდიდატურების პოვნა. ამით არის განპირობებული აღნიშნული ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 4.

დაადგინეს: მუხლი 18, პუნქტი 6-ის არსებული რედაქცია: *სადისერტაციო მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიებს ჰყავთ თავმჯდომარე და მდივანი, რომლებიც აირჩევიან კომისიის შემადგენლობიდან კომისიის პირველ სხდომაზე. სადისერტაციო მუდმივ-მოქმედი დარგობრივი კომისიის წევრები ირჩევენ კომისიის თავმჯდომარეს 3 წლის ვადით, წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარეს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის მდივანს სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობიდან წარადგენს თავმჯდომარე და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო 3 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის მდივნად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.*

შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: *სადისერტაციო მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიებს ჰყავთ თავმჯდომარე და მდივანი, რომლებიც აირჩევიან კომისიის შემადგენლობიდან კომისიის პირველ სხდომაზე. სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის წევრები ირჩევენ კომისიის თავმჯდომარეს 3 წლის ვადით, წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით. სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარეს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის მდივანს სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობიდან წარადგენს თავმჯდომარე და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო 3 წლის ვადით.*

6. მოისმინეს: დღის წესრიგის მეექვსე საკითხი - პროგრამული ცვლილებების შესახებ. საკითხის განხილვის დაწყებამდე ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო თავისი პოზიცია საგანმანათლებლო პროგრამებში შესატანი ცვლილებების პერიოდულობის შესახებ. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნევს პროგრამებში ყოველგვარი ცვლილებების (ამასთან, დასაბუთებული) შეტანისთვის განისაზღვროს კონკრეტული პერიოდი - სასწავლო წლის ბოლო. ასევე მან აღნიშნა, რომ ყოველგვარი პროგრამული ცვლილებები საბჭოს მოწვევამდე წინასწარ იქნება განხილული და შეჯერებული დეპარტამენტებისა და პროგრამების ხელმძღვანელებთან. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ხარისხის სამსახურის უფროსს, რომ უზრუნველყოს აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება დეპარტამენტებისა და პროგრამების ხელმძღვანელებისათვის.

ამის შემდეგ მან სიტყვა გადასცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროს სპეციალისტს, ასოცირებულ პროფესორ გ. ბრეგვაძეს. გ. ბრეგვაძემ საბჭოს წევრებს დაწვრილებით გააცნო ABET აკრედიტაციის განახლებული მოთხოვნების შესაბამისად შესატანი ცვლილებები საბაკალავრო პროგრამებში "კომპიუტერული მეცნიერება", "კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი)", ასევე ცვლილებები პროგრამაში "კომპიუტერული მეცნიერება (ქართულ-ფრანგული)". კერძოდ, გაიწერა პროგრამების შემადგენელი კომპონენტებისა და კრედიტების განაწილება **(„კომპიუტერული მეცნიერება“**: კრედიტების რაოდენობა 240 ECTS: 130 ECTS -

კომპიუტერული მეცნიერების საგნები (100 სავალდებულო + 30 არჩევითი); 30 ECTS - მათემატიკური საგნები (კალკულუსი, კალკულუსი კომპიუტერული მეცნიერებისათვის, წრფივი ალგებრა, დისკრეტული მათემატიკა, მონაცემთა ანალიზი და სტატისტიკა, მათემატიკური დაპროგრამება); 20 ECTS - საბუნებისმეტყველო მეცნიერების საგნები (მათგან სავალდებულოა: ფიზიკის შესავალი, ფიზიკა (მექანიკა)); 30 ECTS - ზოგადი განათლება; 30 ECTS - თავისუფალი არჩევითი; **„კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი)“:** კრედიტების რაოდენობა 240 ECTS: 130 ECTS - კომპიუტერული მეცნიერების საგნები (100 სავალდებულო + 30 არჩევითი); 30 ECTS - მათემატიკური საგნები (კალკულუსი, კალკულუსი კომპიუტერული მეცნიერებისათვის, წრფივი ალგებრა, დისკრეტული მათემატიკა, მონაცემთა ანალიზი და სტატისტიკა, მათემატიკური დაპროგრამება); 20 ECTS - საბუნებისმეტყველო მეცნიერების საგნები (მათგან სავალდებულოა: ფიზიკის შესავალი, ფიზიკა (მექანიკა)); 30 ECTS - ზოგადი განათლება; 30 ECTS - თავისუფალი არჩევითი; **„კომპიუტერული მეცნიერება (ქართულ-ფრანგული)“:** კრედიტების რაოდენობა 240 ECTS: 135 ECTS - კომპიუტერული მეცნიერების საგნები (105 სავალდებულო + 20 სავალდებულო არჩევითი + 10 არჩევითი); 25 ECTS - მათემატიკური საგნები; 10 ECTS - მეცნიერება; 45 ECTS - ზოგადი განათლება; 25 ECTS - თავისუფალი არჩევითი. პროგრამებს დაემატა ახალი საგნები (**„კომპიუტერული მეცნიერება“ -** მიკროკონტროლერების დაპროგრამების საფუძვლები; უნივერსალური ტექსტური რედაქტორი; მოდელირება Matlab-ის გარემოში; ვებ დაპროგრამება ჯავაზე (Spring Boot-ის გამოყენებით); Cisco-ს სისტემების არქიტექტურა და პროტოკოლები; ზოგადი განათლების ბლოკი: იაპონური ენა 1; იაპონური ენა 2; კრეატიული წერა; JavaScript დაპროგრამება. **„კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი)“** - ვებ დაპროგრამება ჯავაზე (Spring Boot-ის გამოყენებით); უნივერსალური ტექსტური რედაქტორი; კიბერუსაფრთხოების საფუძვლები; იაპონური ენა 1; იაპონური ენა 2; კრეატიული წერა; ქიმიის შესავალი; პოლიმერების ქიმია; დედამიწის სფეროები და მათ შორის ურთიერთქმედება. **„კომპიუტერული მეცნიერება (ქართულ-ფრანგული)“ -** IT პროექტების მართვა, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია; კომპიუტერული სამართალი და ეთიკა; დაზუსტდა წინაპირობები. სამაგისტრო პროგრამა "ინფორმაციულ ტექნოლოგიებს" დარგში მიმდინარე განვითარებისა და ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით დაემატა არჩევითი საგანი "გადაწყვეტილებისა და სისტემის ანალიტიკა" (იხ. დანართები 4).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა მ. ხაჩიძემ, მ. ცინცაძემ, ნ. დორეულმა, ნ. შათაშვილმა, გ. სირბილაძემ, ლ. მაჭავარიანმა, დ. ძიძიგურმა. ზემოხსენებულმა ცვლილებებმა გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. კერძოდ: ა) საგნის „ფიზიკა (ელექტრომაგნეტიზმი)“ სტატუსის შეცვლამ (სავალდებულოდან არჩევითში) და ბ) საგნის „დედამიწის სფეროები და მათ შორის ურთიერთქმედება“ დამატებამ არჩევით ბლოკში. ამასთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთა პროფესორმა მ. ცინცაძემ. დისკუსია შეაჯამა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ პ. ბაბილუამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

ა) საბაკალავრო პროგრამებში „კომპიუტერული მეცნიერება“, "კომპიუტერული მეცნიერება (ქართულ-ფრანგული)", სამაგისტრო პროგრამაში "ინფორმაციულ ტექნოლოგიები" ყველა წარმოდგენილი პროგრამული ცვლილების დამტკიცება, მათ შორის საგნის „ფიზიკა (ელექტრომაგნეტიზმი)“ გადატანა არჩევით ბლოკში;

ბ) საბაკალავრო პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერება“ (ინგლისურენოვანი) ყველა წარმოდგენილი პროგრამული ცვლილების დამტკიცება, მათ შორის არჩევითი საგნის „დედამიწის სფეროები და მათ შორის ურთიერთქმედება“ დამატება.

ა) კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20, წინააღმდეგი - 1, თავი შეიკავა - 3.
ბ) კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19, წინააღმდეგი - 1, თავი შეიკავა - 4.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები (იხ. დანართები 4).

7. მოისმინეს: დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი - ეკოლოგიის პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ. ჭელიძემ. ქალბატონმა თამარმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა კლასტერული რეაკრედიტაციის მიზნით მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამების - საბაკალავრო პროგრამა "ეკოლოგია“, სადოქტორო პროგრამა „გამოყენებითი ეკოლოგია" - პორტფოლიო (იხ. დანართი 5).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება კლასტერული რეაკრედიტაციის მიზნით მომზადებული ეკოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების პორტფოლიოს დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს კლასტერული რეაკრედიტაციის მიზნით მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამების - საბაკალავრო პროგრამა "ეკოლოგია“, სადოქტორო პროგრამა „გამოყენებითი ეკოლოგია" - პორტფოლიო (იხ. დანართი 5).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი პეტრე ბაბილუა

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი